


ქართველი 14 აგვისტო, 1916 წ. რედაქციის აღმასი:
თფილისი, ოლდას ქუჩა, № 6. თბ ას 15 გან.

ქართველი მატერიალი

იუმორისტი:
უურნალი

33

საკარავო სიხშირი ბორჯომი



ო. შ. ლ. ა. ბ.

როგორც სარწმუნო წყაროებიდან გაიგო „ეშმაკის მათრახის“ თანამშრომელმა, სააგარეო სიეზდი
ტაცებულია ბორჯომის სანიტარულ მდგომარეობით და ერთხმათ აღვენს: გამოცხადდეს ეს სასია-
მოვნო ცნობა ჩვენს უურნალში, სიეზდის მონაწილეთა სურათითურთ, რასაც მოკრძალებით
ვასრულებთ.

ତ୍ୟବ୍ୟାକୁଳ, 14 ଅସୁରେଣ୍ୟ 1916 ଫ.

მამა ანთომის, რომელსაც თვითი
სი სპეტაკი წევერისათვის ჯერ მაკ-

ରୀତେଣ୍ଡି ଏକ ମନ୍ଦିରାଳୟରେ ପାଇଁ ଏହା କାହାରେ ଥିଲା ନାହିଁ ।

გართალია, მაგა ანთომოზი
ხშირათ იტყვის: „არა ჩამავალმან პირსა შინა წარ-
სწერილოს მონა ღვთისა, არამედ ამომავალმან მუ-
ნით „ო, მაგრამ ეს ლიბერალობის ხასიათზე როცა
დგება, მშინ მოსრის ხოლმე.

დღეს კი ომის საჭიროებამ წარმოშვა ითხო სა-
მარხვო დღე. ამას ანთიმოზ ხუცესიც გაიგებს, მაგ-
რამ არ დაიჯერებს; არ დაიჯერებს, რომ ეს ითხო
სამარხო დღე, ე. ი. სამშაბათი, ითხმაბათი, ხუთ-
შაბათი და პარასკევი დღეს მოგონილია სამხედრო
და საქვეყნო საჭიროებისათვის.

მაგრამ ჯანი გვარდეს ანთომოზ ხუცესს. ჩვენ
საკუთარი მიზანი გვაქვს დასახული ამ შეთაურში და
თუ შევსძლით მისი საქმაოდ გაშუქება, ჩვენს მო-
გალეობას შესრულობულათ ჩატარება.

როგორც მოგეხსენებათ, მთავრობის განკარგულებას ოთხი დღით მარხულობის დაწესების შესახებ, მიზნათა აქცის დასახული მსხვილ ოთხ-ფეხთა მფარვეობა.

კეთილი და პატიოსანი. საკითხი სწორად არის დაყენებული. საქმე მხოლოდ იმაშია, თუ რამდენათ მივაღწევთ ეს გონივრულ მიზანს. აი მომისმინეთ.

მარტო ქალაქ თფილისს, როგორც საბჭოს ან-
გარიშებიდან სჩანს, სჭირია ყოველ დღე საშუალო
რიცხვით 20,400 ფუთი ხორცი: ძროხისა, ცხვრი-
სა, ღორისა და ბატენისა. (სხვა ცხველებს, როგორც
მაგ. ძალებს, ცხენებს, კატებს, არ ვისტენიებთ,
ვინაიდან იმათ ჩუმათ ასაღებენ მეყისპერები და სტა-
ტისტიკისათვის მიუწვდომელია მისი რაოდენობა).
სინამდვილესთან ახლოა მხოლოდ იმ ხორცის რო-
დენობა, რომელსაც აშკარათ ჰყილიან გირვანქის
40 კაპიტანთ.

თუ არა ცელები, საკეტავი და ადამიანის ორგანიზმისათვის საჭირო მასალა ხორციში მეტია, ვიღებ რე მცენარეულობაში და თუ სინოკიდრის მხრიდა შე-

ვადარებთ: გინდ ერთი გირგანქა ხორცი შეგიგამითა,
გინდ 56 გირგანქა ბალახი; გთხოვთ კარგათ და-
უკვირდეთ ამას.

განვავითაროთ ჩვენი აზრი. თფილის ქალაქს
სჭირდება დღიურათ 20,400 ფუთი, ანუ 816,000
გირვანქა ხორცი. თუ ერთი გირვანქა ხორცი 56
გირვანქა ბალას უდრის ნოყიერებით, იმავე მოთ-
ხოვნილების დასაკმაყოფილებლათ დღიურათ თფი-
ლისს დაჭირდება 1,129,750 ფუთი თივა. ნუ და-
გვიწყდებთ, რომ ჩვენი მნაბრიში შარტო ჭ. თფი-
ლისს შეეხება. ასევე იქნება სხვაგანაც.

თვისას ადამიანი პირველაოთვე არ მიმართავს, მაგრამ როცა ბოსტნეულებზე მიუწვდომელი ფასი დაწესდება, (მაგალითად, ერთი კიტრი თუმანი ელორება და ისიც მნელი საშოგარი იქნება), ხალხი უნებლივთ გადავა ბალისის ხმარებაზე. ჯერ კიდევ ომის მესამე წელიწადი არ იქნება გასული, რომ ფუთი უნდაალო ბალახი ათი-თოორმეტი მანერით ელორება და იმასაც ხათრით და პროტეკციით მოგვყიდოან. განსაკუთრებული ფასი დაედება გვიმბრასა, იონჯასა და კოინჩასს.

არსებობისათვის ბრძოლაში ყოველთვის ის
იმარჯვებს, ვინც ამ მიზნისთვის უფრო მომზადებუ-
ლია. აშერაა, რომ აღმიანებთან ბრძოლას გონი-
ბრივათ მათზე ცოტა დაბალ საფეხურზე მდგომი
ძროხები და ხარები (მით უმეტეს კამეჩები) ვერ
შესძლებენ და დამარცხდებიან. აღმიანი მოუსპობს
მათ საზრდოს და ამგარათ გადაშენების გზაზე და-
აყინებს ოთხ-თიხთა მთავრ მოიდგმას.

შეიძლება მე ერთობ საშიშარი და დამაფიქრებელი სურათი დავხატე ათხი სამარხვო დღის დაწესების შედეგებისა, მაგრამ დამაფიქრებელი ელუმინტი ისიცავს პირზია ამ მძიმე საითხმი.

გავათავეთ. ჩვენს წერილს საქმაოთ ძლიერი საბუთები ახლავს, რომ კრიტიკამ შეგვაშინოს, მაგრამ მიზეზდავათ ამისა, გულით მოსურნე ვართ ჩვენმა უსრნალ-გაზეთობაში წამოაყენოს თავის მოწინავეებში აღძრული საკითხი და პასუხი გასცეს მას.

גַּמְבָּרוֹ*).

*) ვინაიდან ორი წევრი სარედაქტურო კოლეგისა ბ-ნი
მოჩინელი და კოდ-ი არ იზიარებენ ამ მუწინავეში გამოთქმულ
აზრს და მე კი არა მსურს ჩემი საკუთარი შეცედულობა სხვას
მოვაჭრიო თავს, ამიტომ მოწინავეს ვუშევდ ჩემი პირადი პა-
სუხისმძღვანობით და ხელის მოწერით. ეშმა დ.

კატარა ფელეტონი

ტრადიციის საკითხი.

„შევე მიიღეს ტრამვაის კონდუქტორებათ 70 ქალი“. (უზრუნველყოფილი).

სამართლიანობა მოითხოვს აღნიშვნით, რომ ეს ერთობ როგორი და ძნელი საკითხია.

ელექტრონის ტრამვაი, ურემთ როდია, „გადაბრუნდება თუ არა, მაშინვე ახალი გზა აღმოჩნდეს.“ არა. ტრამვაის გადაბრუნვებას ყოველთვის ათასგვარი უსიამოვნება მოსდევს.

ი ამიტომ შეიტანეს ტრამვაის მოსამსახურეებმა ქალაქის გამგეობაში ქაღალდი:

— უმორჩილესად გთხოვთ გადაჭრით გვითხრათ:

ა) ვის უნდა ვემორჩილებოდეთ ტრამვაის მოსამსახურენი, ე. ი. ვის ბრძანებას უნდა გასრულებდეთ.

ბ) ვინ უნდა გვცემდეს და გვლანძლავდეს სამსახურის ასრულების დროს.

გ) ვინ უნდა დაგვისაჯოს ამ ცემისა და ლანდღისათვის.

როგორც ხედავთ, შეკითხვა სამართლიანია და ქალაქის მამებიც შეიკრიბენ პასუხისათვის.

მუხ. I ვის უნდა ემორჩილებოდენ ტრამვაის მოსამსახურენი.

— ჩემის აზრით ეგ საკითხი ერთობ როგორი — დაიწყო მჟევრმეტყველობით ცნობილმა ისია მარკოზის ძე. აქ სამი სხვადასხვა მხარე: იური-დიული, ზენებრივი და ესტეტიური. იურიდიული გმგე და მმრანებელი ტრამვაის მოსამსახურეთა, ცხადია, საბჭოს იურიდიული კომისია “უნდა იყოს. რაიცა შეეხება ზენებრივ ელემენტს, აქ მთელი საზოგადოებაა დაინტერესებული, ხოლო ესტეტიური მხარე გემოვნების საქმეა. ხოლო თუ ვინიცობაა საბჭო საქიროთა სცნობს ტრამვაის საქმეთა გამგებლობა მარტოდ-მარტო ამავე სახელობის კომისიას გადაეცეს, გთხოვთ ჩემი კანდიდატურა დასკავთ „ტრამვაის კომისიის“ წევრობაზე. მე მსურს კემსახურ ქალაქის ამ ცოცხალ დარგს წარმოებისას.

— ბატონო ხმოსნებო, — დაიწყო ექმიშა ლუნკევიშა — ჩემის აზრიდ ტრამვაის საქმეებს მხოლოდ „სატრამვაიო კომისია“ უნდა განაგებდეს და არა

სხვა რომელიმე, მაგრამ ამასთანავე საჭიროა აღნიშნულ კომისიაში არჩეულ იქმნან უფრო მცხოვანი, დარბაისელი და ლინჯი ხმოსნები. მე სიამოვნებით ვიკისრებ აღნიშნული კომისის წევრობას, თუ საბჭო კეთილ ინგებს და სხვა საქმეებიდან გამანთავისუფლებს.

— ბატონებო, — დაიწყო ხმოსანმა კოვალენსკიმ, — ვერ დავვთანხმები პატივცემულ დოქტორს, რომ „სატრამვაიო კომისიაში“ საჭირო იყოს მხოლოდ მცხოვანი და მით უმეტეს დარბაისელი წევრები. სხვა რომ არა იყოს მაღალი იშვიათი ამდენ დარბაისელ ხმოსანს? დარბაისლობა ქერწლი ხომ არ არის, ყველა თავს ახლდეს? პირიქით, „ტრამვაის კომისიაში“ საჭიროა ახალგაზრდა, ენერგიული წევრები. მე არა ვარ წინაღმდეგი ჩემი კანდიდატურაც წამოყენებულ იქმნას ამ კომისის წევრობაზე.

— მე ვუიქრობ, ბატონებო, — დაიწყო ხმოსანმა ლ. ფ. ტიგრანოვა — პატივცემული მ: ვ. ლუნკევიში ახლოა სიმართლესთან. „ტრამვაის კომისიაში“ მარტლაც რომ დარბაისელი ხალხია საჭირო, მაგრამ ამსათვის მოხუცებულობა არ უნდა იყოს მაინც-და-მაინც საჭირო. შეუ ხნის მოღვაწეები ჩემებ არა ერთი და ორი გვყავს და ისინი მშვინივრათ შესძლებენ ამ მძიმე საქმის გაძლიერას. დიდის სიამოვნებით ვიდგამ ყუთს აღნიშნულ კომისის წევრობაზე.

კამათმა მწვავე, პირადი, და ჰასაკური, ხასიათი მიიღო. ყველა ერთნაირის გატაცება — აღფრთოვნებით ამტკიცებდა და ასაბუთებდა თავისს აზრებს. ყველა ერთგვარი სიყვარულით იწოდა საზოგადო საქმისადმი, ყველას უმთავრესათ მუნიციპალური ინიციერები აღლვებდა და აღაპარაკებდა. ალ. ივ. ხატისოვს საშინლოთ უკვირდა ხმოსანთა ამგვარი გატაცება ტრამვაის საკითხებით. შეიდი წლიდან უკვე ქალაქის ინტერესებით ცხოვრობს, შეიდი წლიდან თვალ-ყურს აღევნებს მუნიციპალურ საქმიანობას და ასეთი აღფრთოვანება, ერთსულოვნება და პირდაპირ ზეაღმაფრენა საზოგადო საქმისადმი მას ჯერ არ უნახავს.

ალ. ივანის აკვირვებდა აგრეთვე ეს უჩვეულო და ჯერ მუნიციპალურ პრაქტიკაში უსმენელი დაყოფა ხმოსნებისა წლოვანების მიხედვით. აქ უცებ წაიშალა, როგორც ეროვნული, აგრეთვე წლიდებრივი და კლასიური საზღვრები. თვით პართენ გოთუაც დააგიწყდა, რომ იგი „კეშმარიტი ქარდვე-

ლია“ და სიამოვნებით ჩიტიცხა „შუახნოვანთა“ ჯგუფში ბ-ნ ტიგრანოვთან ერთად. წარმოიდგინეთ, ბ-ნი ხუნუნცი, ომელსაც არა ერთხელ განუცხადებია საბჭოში; რომ „იგი არ ეუფრნის არავითარ ჯგუფს, რომ მოქმედობს თავისუფალი სინდისისა და მუნიციპალური ინტერესების მიხედვით“ ახლა ახალგაზრდათა ჯგუფში ჩაირიცხა, ვინაიდან მეტრიკაში თორმეტი წლით გვიან ყოფილი ჩაწერილი. მეტსაც ვიტუვი, წარმოიდგინეთ ამ ჯგუფობამ თვით სამღვდელოების წმინდა წარმომადგენელნიც კი აიყოლია და ამა თუ იმ ჯგუფს მიაკერძა.

ვინაიდან ვრცელია დელვა უკიდურეს წერტილამდე ციდა და გამწვავება ჯგუფთა შორის უმაღლესად განვითარდა, ქალაქის მოურავმა იხმარა ჩვეულებრივი წინდახედულება და არჩევნები „სატრამვაიო კომისიისა“(*), რომელსაც უნდა მორჩილებდეს, იურიდიულათ თვილისის ელექტრონის ტრამვაის მუშები, გადასდომ მომავალი საგანგებო კრებისათვის. შეგრამ ვინაიდან ტრამვაის მოსამსახურენი დაუკინებით მოიხსენებ: „ეუწყოს მათ, თუ ვინ არის მათი პაირდაპირი უფროსი და ვისი ბრძანებაა მათთვის საფალდებულო“, კრებამ არსებითად დაადგინა:

— მოხსენდეს თვილისის ტრამვაის მოსამსახურეთ, რომ მათი პაირდაპირი უფროსია ყოველი წევ-რი „საბჭოს სატრამვაიო კომისია“, თუ კი ის (წევ-რი კომისიისა) ბრძანების გაცემის დროს ღინის, ან სხვა მაგარ სითხეთა ხმარებისაგან განსაკუთრებულ მდგომარეობაში არ იმყოფება.

რეზილიურია ერთხმათ იქნა მიღებული და გადასწყდა მისი „ეშმაკის მათრახში“ გამოკვეყნება.

ამის შემდეგ ხმისანთა შორის გამწვავებამ იქლო. უცებ აღსდგა ჩვეულებრივი სახე საბჭოს ჯგუფობრივი დანაწილებისა და კამათიც ძველს კალაპოტში ჩავარდა.

ქალაქის მოურავმა წამოაყენ მეორე მოთხოვნილება ტრამვაის მოსამსახურეთა, სახელმობრ: — ვინ უნდა სცემდეს და ლანდაგდეს მათ სამსახურის ასრულების დროს — კითხვა ერთობ რთული გამოდგა და მშეიღებიან ხშირადათ შორის უჩვეულო აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. ამიტომ გადავსწყვიტე ამ კითხვის განმარტების შესახებ მომავალ ნომერში ვილაპარაკო ჩემს პატივცემულ მკითხველებთან.

მორიელი.

*) განურჩევლათ სქესისა.

ეშმაკი.

ოთხი წურბელი

სცენა 1 მოქ.

(ჭიათურისათვის)

გოგოზე და პირი:

მიხა ლადია ხანდრო სოლომონი	კიათურელი ვაპრები.
-------------------------------------	--------------------

(სცენა წარმადგენს საპატიმროს, სადაც სიედას ჭიათურელი გაჭრები ნიხრის დაღვევებისათვის დაჭერილია. მისას, სოლომონის და სახელმობროს სინაცვა, სოლო დადა მდგინარეა და ბადლინჯობის ემიგრა. დამეგა).

დადია. აწი და რა უნდებას ჩემდებინ ამ ხალხს, რას მერჩინ? „დამპალი სიმინდი რატომ გაყიდეო“. დამპალი და ოხერი საქონელი უნდა გაისალო, რომ პეტერე ხეირი ვნახო. მე იმიზა ჩამოველ ჯიხაშიდგინ ამ შავ ჭიათურაში, რომ ოხერი ქვეყანაა და რაცხას მევიგებ-ოქვა, ვიფიქრე. იცოცხლე, ხელი ის დამიქლია არაფრიზა და რიგიანადაც შეესუქდი, მარა გლახა ღროს წამევეგე ანკეშე ნამდვილ რომ მინდოდა, ისე მექნდა საქმე მოწყობილი, მარა გლახა ღროს წევიკარი ფეხი!

სოლომონი. (ძილში აბოდებს) ლუკ... ლუკ...

დადია. ზმუკი შენ და თიაქარი! შენ რომ კა გა კაცი იყო სამ გირვანქა ხახეიზა არ დააჭირები დი თავს. (ბალლინჯო უკეტების და კანჭის იფახანს) უქ უქ, დაგექტათ დაბადება! აწი და ოთახია აი უპატრონო, თუ კეტეტილების ბეღელი? რავა გაფსებულია აქოურობა!

მიხა. (ძილში აბოდებს) ქბილები...

დადია. დაგუინდა ქბილები! ნახევარ მილიონის პატრონმა კეტეტილების ზაკუსკათ გეიხადე თვი. ახია შენზე ყოლისფერი!

სანდრო. (ძილში აბოდებს) შაქარი...

ლადია. ციხე მაგარი. დაჯექი და იყურუუ! შაქარი სულ რომ არ გენახა თვალით იგი გერჩი შე უბედურო. (უცებ შეხეტება) ფუ, დაგექტათ კ რია. რავა შემხრენ ამ ურჯულებებმა! მაინც და რა ბეოლის კეკალივით დაცვინდა ეს უპატრონ (დიღხანს ეომება ბალლინჯოებს. ხელჩართული მიღროს რამდენიმეს კიდევაც იმსხვერპლებს). შემდ მოღლილ-მოქანული მიიძინებს).

სანდრო. (ძილში წამოიყირებს და წამოვა

დება) არიქა, ტიგრან, ატყაზი თქვი, თორმემ გადა-
მასახლებენ. (ძილი-ძლიობით გამოერკვევა ძილს;
თვალებს მოიფშვნებს და გაშტერდება). ვა, ეს რა
დღეში ჩავვარდი, კაცო! გახდი რაღა ქვეყნის მას-
ხარი! ვიფიქრე: გირვანქა ხუთ-შაურში ნაყიდ შა-
ქარს სამ-აბაზათ გავყიდი მეთქი. მე გამდიდრებას
ვაპირებდი, მაგრამ ტლაპოში კი გადავვარდი ცხვი-
რით! ხუთისი უღელი კამები რომ დამიბან, ამ ტლა-
პოდან მაინც ვერ ამომათრევენ. ვა, ეს რა მივქა-
რე, კაცო! ეს რა უკუდო ვირზე შავეჯე! ოხ, პავ-
ლე, ჩემი ცოდო გედოს. არა, შე ულმერთოვ, ვი-
საც შაქარი მიყიდე, ის არა ჩიოდა, შენ რა გა
ჩივლებდა! რა დაგიშვე ამისთანა, რომ ბაღლინ-
ჯოების სახრავთ გამხადე! (შეხტება და იფხანს) უჲ,
თქვე სახეძალებო, რა ჩემთან მოიყარეთ თავი!
ჩემის მეტი ამფსონი ვეღარავინა ნახეთ! (ნერვები
აეშლება და თავში წაიშენს) დარდაკ, დარდაკ, ალე-
ქსანდრ შავერდოვ, ახია შენზე ყველაფერი! თივ-
თივის დოშავი არ გინდოდა და იგორავე ამ ბაღ-
ლინჯოებში! ვა, ქრისტიანო, ასი მანეთი მალა-
კროვის წამლით დამიჯდა, როგორც იყო სისხლი
მოვიროვე და ამ ურწმუნებმა სულ გამომწუწენეს
რაღა! ნამდვილით ძვლამდის დამიყვანენ ეს სახე-
ძალები, ისე მხრამენ რაღა!

სოლომონი. (ძილში აბოდებს) პამიდორი...

სანდრო. მართლა ვიტი ხარ და ჯორი. შე მაი-
მუნო, ცხრა კაპეიკისთვის ბაღლინჯოების სანდრ-
ძოთ გაიხადე თავი!

ლადია. (ძილში აბოდებს) სიმინდი...

სანდრო. ერთი შენ ხარ სულიწმინდი! ესეც
საწყალი ბიჭია აი თუმნიანში ოცდახუთანს მოგ-
ცემს ეს ბიჩაღლი ისეთი მეამიტი რამ არის, სულ
ქრისტეს ჯორით დაიარება რაღა ეს პირშავი!

ლადია. (ძილში აბოდებს) დამპალი...

სანდრო. დაგიდგება თვალი. ჯერ სადა ხარ.
ჯერ ერთი გაისეირნე ერკუცეი გუბერნიაში! გინ-
დოდა დამპალი სიმინდით ხალხი ამოგეეუუა და
ქვეყნის კონკულათ დამჯდარიყავი, მაგრამ გაგიგეს
შულიკობა. (ერთხანს გაშტერდება. მერე ლოგინს
დაბერტყავს და წამოწევება. არ ეძინება და შტო-
თავს).

ლადია. (ბაღლინჯოები არ ასვენებენ და გა-
მოესვიდება. წამოჯდება და იქექება. კარგათ გათე-
ნებულია) დედაა, საყვარელო, სად გიკვდები! რა
დღეში ჩავვარდი! სიდგინ დამეტაკა აი უბედურება!

ახ, რა კარგათ მქონდა საქმე! ახლო-შახლო კონ-
კურენტი არეენ მყავდა და მთელ უგლავოში მე
ვიყავ ბძანებელი. ჩემი მაღაზია პირდაპირ ბადე იყო.
ვინც კი შამევილოდა, ჩემი ხელიდგინ ვერსა წევი-
ლოდა...

სანდრო. (ძილბურანშია, მაგრამ უცებ გაიღვი-
ძებს, რადგან ცხვირის ნესტოში ბაღლინჯო შეს-
ძრომლა. წამოვარდება და შეცყვირდებს) მიშველეთ,
შამქამეს ამ ურწმუნებმა! (ლადიას) კაცო, ლადი-
მერ, ერთი მიშველე თუ ლმერთი გწამს, თორემ გა-
მათავს ამ ურჯულოებმა! (საბანს ლა ლეიბს იღებს
და ბერტყავს).

ლადია. რას შობი, რას, შე მუღრეგო! სით
ერეკები მაგ კეტეტილებს? ხომ არ გინდა რომ მო-
გბრიგო ამ გაჯავერებულ გულზე!

სანდრო. რა გაყირეებს ეე, ჭკვაზე მოდი!

ლადია. მაყვირებს კი არა კბილებს დაგამ-
ტვრებ, შე მაიმუნო, შენა!

სანდრო. ვისა, ბიჭო, ვისა! პირჯვეარი დაიწერე
ე მანდ არაფერმა შაგაშინოს. ნი ქრიზი ია თებე
ღავარუ!

ლადია. არ დაბერო სული, თვარა გაგთხეუშ
შეაზე!..

სანდრო. (დაცინვით) რა ბძანეთ! შენ ალბათ
ცაცია სანდრუას ვერ იცნობ. ისე გაგიხადო ეგ
თავი, რომ სულ ბუზები გეხვეოდეს!

ლადია. (მივარდება სანდროს) გაჩუმდი, შე ვირ-
თხავ, თვარა ამოგაძროფ ენას! (შეიქნება ჭიდაობა
და ყვირილი. მიხა და სოლომონი წამოვარდებიან,
ჩაგრძელებიან შუაში და აზავებენ).

შიხა. (გაყირებული) გადირიეთ!

სოლომონი ჩხუბი რავა შეიძლება, სირცხვილია!

ს.ნდრო. (მიხას) მიხა, ცოლშვილს გაფიცებ,
ნუ მამერიდები და გასჭრ სამართალი. კაცო, ლო-
გინი აებერტყე. ეგ ყვირის: რათ აერტყე, ბაღ-
ლინჯოები ჩემსკენ გამაიქუნენ.

ლადია. აბა, რავა! ზღილობა რა უქნი შენ-
ხელა კაცმა!

შიხა. აწი და რავა გეცადრებიან! გარეთ გავა
აი ამბავი და თელათ მევიჯაყებით. (მიხა და სო-
ლომონი შეარიგებენ სანდროს და ლადიას და გა-
დააკონინებენ. ყელანი თავიანთ ლოგინზე
დასხდებიან და ფირებს მიეცემიან).

სოლომონი. თქვენ აქანა ჩხუბობი და ვინ იცის
დღეს ნაჩალიკი რას გამოგვიცხადებს!

მიხა. დევილუპეთ და დევიფსეთ.

ლადია. (ოხვრით) ვაი, თუ გადაგვასახლონ!

სანდრო. (ტირილით) მერე რისთვის, შაქრის-თვის! (ერთიმეტრებს შეჭყურებენ დაღრეჯილნი და ტირილი მოსდით. მიხა ვეღარ მოითმენს და ატირ-დება „ვაი-ვუის“ ხმაზე. სხვებიც ბაიყუშებივით აჟყვებიან მიხას).

მიხა. რა ლროს მოვესწარით,

ქვეყანა აბრუნდა,

გილდე-კუპეჭს ცახეში

ნეტვი რა უნდა!

ვაი, ვაი, ვაი! (ყველანი ბლავიან).

სანდრო. სამ გირი შაქრისთვის

მამაშორებს ცოლ-შვილს,

ისეა საქმე, რომ

გამიყრიან ბორკილს!

ვაი, ვაი, ვაი!

ლადია. მასახლებენ მგონი,

თავს მატყდება მებრ,

რა ღმერთი გამიწყრა,

სად წევიკარ ფეხი!

ვაი, ვაი, ვაი!

სოლომონი. ხალხი დამეტერა,

გლახათ ვყავდი ოვალში

ხახვისთვის გამაბეს

მიშცეს სამართალში.

ვაი, ვაი, ვაი!

(ამ დროს შემთდის ციხის უფროსი ქადაღდებით ხელში. უგელანი გჩუმდებიან. სანდროს ჭირნა საჭალი ციხის უფრთსზეა დამოკიდებული და მიტომ დაქუცით მიჭმარ-თავს მს.)

სანდრო. კაჯ დელა, ვაში ბლავაროდია!

ციხის უფროსი. (სანდროს) ოჩენ პლოხხო. (სანდ-რო გაშემდება. ყველანი ყუჩამოყრილები არიან ერთ ადგილზე გაშეშებულნი. ციხის უფროსი კით-ხულობს განაჩენს).

სანდრო. (ვერ ითმენს და ტირილით მიშმარ-თავს „ნაჩალნიკს“). გოსპოდინ ნაჩალიკ, ტურმა ილი კიმბირ?

ციხის უფროსი. ნე მეშაიტე! (კითხულობს) მა-თი აღმატებულების გუბერნატორის გან კარგფლე-ბით სამხედრო წესების მოხსნამდე გადასახლებულ-ნი არიან ჭიათურის ვაჭრები: მიხა, ლადია, სანდ-

რო და სოლომონი. (ყველანი ერთად შეჰბლავებენ ერთმანეთს).

ჯველანი. დავაქციეთ კერა,

მური ვისვით ცხვირზე.

ქვეყნის სამასაროთ

შავჯეჭით ჩვენ ვირზე!

ვაი, ვაი, ვაი! (საერთო ქვითინი).

ფ ა რ დ ა.

გოგია.

სიყვარული

გარწმუნებთ, რომ ყოველგვარ ავათმყოფობა-თა შორის, თვისი ქრონიკული ხასიათით და სიმწვა-ვით სიყვარულს პირველი ადგილი უჭირავს. რა არის მასთან შავი ჭირი, ხორველი? არაფერი! იგი სულ ცოტა ხანში მოუღებს ბოლოს კაცს და გა-თავედა, სიყვარული კი!.. რომელი ადამიანი გინა-ხავთ მისგან სრულიად განკურნებული? არც ერ-თი!.. მე სიმართლეს ვამბობ! მაგალითად ივილოთ ჩემი თავი. მე შეყვარებული ვარ! რამდენი ხრის- არ გიმარე, მაგრამ ამაოდ!

მოგეხსენებათ, რომ ხუთმეტ-თექვსმეტი წლის ბავშვი არ არის მაინც და მაინც დამჯდარი ქუსის პატრიონი. სწორეთ ამ ხნისა ვყავი, როდესაც სიყ-ვარული შეძევარა. მაშინ ეს მდგომარეობა ძლიერ მომწონდა, რადგან სასწავლებელში ჩემი პრესტიუ- ამ გარემოებით ძლიერ მაღლა იდგა. მე, როგორც შეყვარებულს, ყველაფერი მეპატიებოდა: საუზმის მოპარვაც, დასაწერი ლათინურის ვადაწერაც ამხა-ნაგის რევულიდან, და სხვა ამისთანები...

დრო გადიოდა... შევიქმნ იმ ხანისა, როდე- საც ქაბუკი ცხეირსა და ზედა ტუჩს შუა ჩქარ-ჩქა- რია ისამს ხელს, რათა აღმოაჩინოს ნასახი ვაჟ-კა- ცის იმ სამეაულისა, რასაც ულვაშებს ეძახიან. აი, ახლა კი სერიოზული ხასიათი მიიღო ჩემმა სენმა. სასწავლებელში სახმარ რევულების მაგივრათ ვხმა- რობდი შავ-კანიან აღბომს, (ქალის პროფესიონ) და ლათინურ ფრანგულ თარგმნების მაგივრათ ჩე- მი რევული ლექსებით იყო აჭრელებული. სამო- წავლო წიგნების მაგივრათ ჩემს სახელმძღვანელოთ შეიმნენ მდედრობითი ხესის ჩემდანი მოწერილი წერილები.

ადგილათ მიხვდებით, თუ რა ნაყოფს გამოი-

ლებდა ამნაირ სახელმძღვანელოებით განვითარება და... ერთ მშვენიერ დღეს, სასწავლებლის დირექტორმა დიდის მოწინებით გამიღო სასწავლებლის კარი და ქუჩაში გაშომიყვანა. თან, მომართა:

— თუ შენდგან საზოგადოებისათვის სასარ-გებლო კაცი გამოვა, მე ჩინეთის იმპერატორათ ამარჩევენ!*

ყველაფერი ზემოხსენებული შემყარა სიყვარის სენა. მოდით ახლა და დაუჯერეთ მგოსნებს, როგორიც დღიან ლამიან სიყვარულის შესახებ გაჰკი-ვიან.

მე ვერაფერ სიმშვენიერს ვხედავდი მასში! სასწავლებლიდან გამოგდება ვერ განკურნა ჩემი ბუნება და ვერ გამიქრო სიყვარულის აღები.

მთელი ორი წელი დავყავ უსაქმოთ მშობლების ჭერ-ჭეშ. ამ უსაქმობაში უფრო და უფრო ღვივდებოდა ჩემში ჭირი სიყვარულისა. უკვე ხუთი ალბომი გაივსო ჩემი ლექსებით. ამ ხანებში მშობლებმაც გაიგეს მიზეზი ჩემი ავათმყოფობისა და ასე მოულოდნელათ კურსის დამთავრებისა.

გაიგეს, მაგრამ არ იცოდენ თუ ვინ იყო ჩემი სატრაქო და არაფერს ამბობდენ. ერთ მშვენიერ დღეს ლამიქირეს სატრაქოსადმი მოწერილი წერილი და მით გაიგეს იმისი ვინაობა, მაშინ კი ჩემმა ტან-ვამ უმწვერვალეს წერტილს მიაღწია.

სატრაქო საზოგადოებრივ კიბეზე ერთი საფე-ხურით ჩემზე დაბლა იდგა!

ცალკე დაცინვა უფროს-უმცროსი ძმისა, ცალკე ბუზღუნი მშობლებისა მოსვენებას არ მაძლევ-დენ. უფროსმა ძმამ თვის სამი წლის ბიჭიოს შემ-დევი აფორიზმი გააზეპირა ჩემი წერტილიდან ამოღ-ბილი:

„რა ვქნა, დელა, მეც მინდა რომ არ მიყვარ-დეს, მაგრამ რომ ვერაფერი მოვახერხე!“ გარ ჩემს ოთახში წამოწოლილი და ოცნებობაში გართული; პაწია შალიკო ჩუმათ შემოაღებს კარებს, მომიახ-ლოვდება და ტებილის ხმით ჩაირაკაკებს:

— ბიძია, ბიძია! „ლა ვქნა, დელა, მეც მინდა ლომ ალ მიყვალდეს, მაგლამ ლომ ველაფელი მოვახერხე“. კარებს უკან კი ისმის დანარჩენი მისი ტოლების კისკისი და ჩემი უფროსი ძმის როხროა ხდ..

*) იმ დროს ჩინეთში რესპუბლიკა არ იყო, თუმცა დირექტორებს მანც არ ირჩევდნ იმპერატორებათ.

ბოლოს ბედმა გამიღიმა და შევყე თავი ქალა. ქის ერთ - ერთ საზოგადო დაწესებულებაში. ენერ-გიულმა მუშაობამ თითქოს გამიფანტა სენი. ჩემი ალბომები დავიწყებას მიეცა...

ერთ მშვენიერ ზაფხულს „ოტპუსი“ ავიღე და საგარაუოთ წავილ სოფელს. და აი კვლავ შევხედი იმ ჩემი ცოდვით საესე სულიერს, ჩემს ძველ სატრაქოს. ერთი გამოქცევა გამოყიქეცი აგა-რაკიდან, მაგრამ ავ სირბილში კვლავ გამოიღვიძა ჩემმა სიყვარულმა!

ჩემა-ჩერა ვიწყე ჩემი სატრაქოს იჯახში სია-რული. ხარაზი თედოს ტებილი საუბარი და თან სატრაქოს შავი თვალები თავბრუს მახვევდა პირ-ველი თვისი გაუთავებლობით და მეორე თვისი სი-ლამაზით... ერთ მშვენიერ საღამოს ხარაზი თედო სწორეთ იმ დროს დაბრუნდა სახლში, როდესაც მე და ჩემი სატრაქო ბალაზი ვსტკებოდით სიყვა-რულით. თედორეს დიდ-ხანს ეთვალთვალა შორი-დან, შემდეგ მობრძანდა ახლო და თავაზიანათ მომმართა:

— არა, შე უსინდისო და უნამუსო, ამიტომ მიგიღე სახლში, რომ ოჯახი დამიქციო და ერთად ერთი ჩემი სონიჩეა შემირცხვინო? წადი, წადი და-იკარგე, შენი ფეხი აღარ იყოს ჩვენთან. შენც გაწწი, შეეთრი სახლში, შე უნამუსო შენა!

უკანასკნელი სიტყვებით ჩემს სატრაქოს მიმარ-თა, მე კი მარტო პირველი ქარაგმები გაქმარა. გა-ვიქცე, რადგან კარგათ ვიცოდი, რომ ხარაზი თე-დო სიტყვების გარდა ხშირად თვის საყვარელ მუშტაც ხმარობდა ხოლმე ჩემისთანების კეუის სასწავლად...

შემოღომაც მოახლოვდა და ქალაქისაკენ გა-მოვეზადე.


აგარაკიდან წამოსვლისას ჩემი სატრაქო ჩაკე-ტილ ოთახის ფანჯრიდან გაღმომზარიყო და სად-გურზე ქაქანით მოიჩინა. მისმა ტირილმა და მოთქმამ შემდეგი დიალოგი გამოიწვია ჩემსა და ერთ თანამგზავრს შორის, როდესაც აგარაკს გა-მოვცილდით.

— ყმაწვილო, მომმართა თანამგზავრმა ხმის კანკალით, სადეთ მიემზავრებით? ციშიჩიში ხომ არ გადაგასახლეს სამუდამოთ?

— რა, ბატონ!

— ახ, საცოდავო მაშ ომში მიღიხარ? ბრძო-ლის ქარ-ცეცხლში უნდა გაერიო და ყოველ

პრატილი



ვინაიდან სივრცე პანთეონისა ჩეენს უკვდავთა რიცხვთან შედარებით ერთობ მცირეა, უკვე სდგას საპანთეონო კარებთან კარგა მოზრდილი „ოქერედი“. მაგრამ ზოგიერთ მგისნებს მოუვიდათ ჩინებული აზრი: არ უცადონ ბუნებრივ სიკვდილს და თავი დროსე მოიწამლონ.

წუთს სიკვდილს უნდა მოელოდე? — ორი მარგალიტი ცრემლი ამოიწმინდა მან თვალებიდან.

— არა ბატონი, ქალაქში. . მივდივარ . სამსახურში!


— და წამსქდა შრარე ტირილი... თანამგზავრი სახატათ დარჩა. სამი საათის ჩეინის გზით გასავალზე ქალაქში მივდივარ და ასეთი ტირილ-ქვითქვითი ჩემი და ჩემის სატრიფოს!

ველარაფერის თქმა გამიბედა, ალბათ ქეუდან შეელილი ვეგონე...

განცვიფრებაში იყენენ ჩემი თანამოსამსახურენი და უფროსიც, თუ რამ გამოიწვია ჩემ მი ასეთი ცვლილება! მე, ენერგიული მუშაკი, ერთბაშათ მოვლენდი, დავზარმაცდი და თითქმის ყოველ დღე ვგზავნიდი სამსახურში ბარათებს ჩემს ვითომდა ავადმყოფობის შესახებ და მე კი ვოცნებობდი ტახტზე წამოწოლილი.

სუთ ალბომს მეექვსე მოემატა და საზოგადო დაწესებულების, რომელშიაც მე ვმსახურობდი, ერთი მუშაკი ჩამოაკლდა.

კ ა ნ ი ე ბ ი ნ ი



უხერხულ მდგომარეობაში ჩვენი დიდებული მუსიკოსი კ. ფოცხვერაშვილი ჩავარდა. ის უკვე მიეზომა საპანთეონო ადგილს და ვით საშინელებავ: თავი აღმოსავალეთისკენ გადარჩა, ფეხები დასავლეთისკენ.

ეხლა კი მე ომში მივდივარ, რადგან ჯარში
გამიწვიეს!

იქნებ გერმანის ზარბაზნებმა დამავიწყოს
სიყვარული... მაგრამ ვათ თუ იქიდანაც ცოცხალი
დაგბრუნდე და კვლავ განმეორდეს, ის, რაც ხდე
ბოდა! რალა ვქნა მაშინ?

გუგული.

მ ა ლ ა ლ ა

იტყვიან:

— კოდო რა იქნა
შარადებისა მწერალი?

ჩვენ მოვახსენებთ:

— ბალებში
დაჰფრენს დღედაღამ მლერალი.

ხანმოკლე უდგას სეზონი...
არ ისარვებლოს, ბრალია...
ბაღებში მრავლათ ფარფატობს
გულ-მკლავ ტიტველა ქალია.
ხან ამას დაასკუპდება,
ხან იმას ასმენს წივილსა,
მკლავების ფხანას აუტეხს,
ფიქალი მკერდის ტკივილსა.
მთელი ქვეყანა სისხლსა სწოვს,
კოლოს რათ გაემტყუნება?
(დასაბამითგან ასეთი
იყო იმისი ბუნება).

დღეს მოიცალა, და აპა,
შარადას მიჰყო ხელია...
(თუმც საყვედური ეშმაკის
მისოფის არ გაგვიმხელია).


ნეტავ რა სტანჯავს იმ დედას,
ომში რო შვილი ჰყოლია?
თვალებზე ცრუმლია რო ადგას,
გულზე რა შემოსწოლია?
მოკლე სიტყვაა; არ მიყვარს
მე მისი გულით ტარება,
მოაქვს ოხვრა და ცრემლები,
ვიღრე არ გაგეჭარვება.
წაჟავეცეთ ორი ანბანი
ბოლოზე ანაკიდები...
(სულაც ავკუწოთ, ახია,
ეგ ცოდვა განალიდები!)

საში ანბანი დაგრჩება,
საძირკველია პირველი,
და აწ მოესძებნოთ ფულუროს
თავდიდა ლამის ფრინველი.
თუმცალა პოვნა იმისი
არ არის ეგრე ადვილი...
(დღით ფულუროში დამალვის
გენისია ნამდვილი.)
მაგრამ ძებნაა საჭირო,
არ ნახვა არ ევარგება;
(საქმეს არ ავნებს ამ სიტყვის
ბოლო თუ დაგვეკარგება.)
აწ ენახოთ დიდი მდინარე
რუსეთის ჩრდილოეთადა,

დასავლეთისკენ რომ მიღის
ბალტიის შესაერთადა.
მშვენიერია ზამთრობით
ყინულში ჩანაჭედავი,
ზაფხულში ღრმა და ანკარა,
(ოჰ, ჩვენში მოგვცა ნეტავი!)
ასო პირველი მოვტაცოთ
ამ საუცხოვო სახელსა,
(ჩამოკრას გული არ უზამს
მისი მშვენების მნახველსა).

აქ დაგვირგვინდა შარადა,
და აგვისრულდა წადილი!
ეგ რა მუშტების ღერა?
რა ყვირილი და ქადილი?
ეს გოგოები რას გვანან?
რა აულიათ ხელობა?
ოჰ, შემეწის, ეშმაკო,
უენი მათრახის მცველობა.
დღეს არის იგი საჭირო
რო არბილებდეს ქვედასა,—
უენ კი როგორლაც იმათხე
არ ხმარობ.
ვაი დედასა!!

კოლო.



ომი პველ საქართველოში

(„ვეფხის-ტყაოსნის“ შიხედვით)

(დასასრული*)

ბრძოლა ხელვიზე:

თანამედროვე და ჩვენ ძველ სარდლებს შორის
გარჩევაა ომში მონაწილეობის შხრივ. ძველებურ
ომში პირდაპირ ერეოდენ და ბელების ჩახაჩუბით
მიუძლოდენ წინ ჯარს, ახლა კი ბრძოლის ველს
ხშირათ დიდ მანძილზედაც კი არიან დაშორებული
და ვფიქრობ რომ თვით ბრძოლასაც ძეირათ ხედვენ.
ეს აღმასათ იმით აიხსნება, რომ ძველათ ტელეფო-

*) იხ. „ეშმაკის მარას.“ № 32.

ნები არ იყო და მათ მაგივრობას სარდლის მქუჩა-
რე ხმა სარტლებდა.

„შები ვთხოვე, ხელი ჩავცავ
მუზარადის დასარქმელად,
საომარად ატეხილი

ვიყავ მათდა გაძტეხელად,“

ასე იწყებს ტარიელი ხატაველებთან ომის დაწ-
ყების ამბავს, რომელსაც უცებ შევყავართ მოქმე-
დების პირდაპირ შუაგულში.

„ერთსა წავწევდი უტევარსა,

წავგრძელდი და წაველ გრძელად,“

ეს სიტყვები იმას ნიშნავს, რომ ტარიელს უ-
ხვედრია მტრის მოწინავე რაზმები, რომელიც მას
დაუფეხებია და უკან გადურევავს, ასე რომ ის
უცებ მიახლოვებია მტრის მთავრი ძალებს:

„მათ ურიცხვი რაზმი ეწყონ,

წყნარად დეს და აუშლელად.“

მთავარი ძალების დანახვა და მათთან შებმა-
ერთი იყო ტარიელის მხრივ:

„ახლოს მიველ, შემომხედეს,

შემაგიაო, ესა სთქვესა,

მუნ მივმართო მკლავ მაგარმა

სად უფროსი ჯარი დეგესა.“

უკანასკნელი სიტყვები იმის მაჩენებელია, რომ
მტრის ტარიელის მოსატყუებლათ ფრინტის სხვა
დასხვა აღილას დემონსტრაცია მოუხდენია — ვინ
იცის რამდენ მელანს დახარჯავდენ ამ დემონსტრა-
ციების შესახებ მაშინდელი ქართული გაზეთების
კალმოსანნი სტრატეგები. მაგრამ ტარიელის სამხე-
დრო ნიჭი ისე ძლიერი ყოფილა, რომ ხელათ შე-
უტყვა თუ სად ეყოლებოდ მტრის უმთავრესი ძა-
ლები და წამსვე შესდგომია საქმეს:

„შიგან ისე გავერივე

გნოლის ჯოგსა ვითა ქორი,

კაცი კაცსა შემოვტყორცნე,

ცხენ-კაცისა დავდგი გორი;

კაცი ჩემგან განატყოცი,

ბრუნავს ვითა ტანაჯორი;

ერთობ სრულად ამოვწყვიტე

წინა ცერი რაზმი ორი.“

ეჭვი არაა, რომ ტარიელის შეტევა ისეთი
ძლიერი და სწრაფი ყოფილა, რომ უცებ გაურღვე-
ვია მტრის სიმაგრეების ორი ხაზი და, როგორც
ქვევით დავინახვთ, მსწრაფლ მოქცეულა ხატავე-
ლთა ჯარის გულში:

„ერთობული მომეხვივნეს,
გრგვლივ შეიქმნა ომი დიდი,
ვკრი რასაცი, ვერ დამიღვის,
სისხლსა მჩქესფსა აღმოვლვრიდი,
ცხენსა კაცი გაკვეთული
მანდიკურად გარდავკიდი.“

აქ ბრძოლა უმშვერვალეს ხარისხს მდება ასულია,
უკვე დგას ის წუთი, როცა მარსმა გამარჯვების
სასწორი ან იქეთ უნდა გადააჭანოს და ან აქეთ.
წამი და... სასწორმაც ტარიელისკენ დახარა თავი,
მტრი შედრკა და გაიქცა:

„სათაც ვიყვი, გამექციან,
მათ შეჰქმნიან ჩემი რიდი.“

ამანირათ გამარჯვება ტარიელს დარჩა, მაგრამ
კადნიერ მტრის სულ ახალ-ახალი ძალები შემოყავ-
და ბრძოლაში და როგორც ხატავთის გაზეთებული
გამოქვეყნებული სამხედრო მოხსენებები იუწყებო-
დენ, მტრი თავის უკნ დახევას სტრატეგიულის
მიზნით ამართლებდა. ამავე აზრი იყვენ სამხედრო
მიმომხილველნიც. მაგრამ ტარიელმა მალე დამტკი-
ცა ამ მოხსენებათა სიყალბე; ამაში ხელი შეუწყო
მაშველმა ჯარმა, რომლის დანახვამ თავს ზირი და-
ცა ხატავთის ჯარს:

„საღამოს უამს დაიძახა ქედით
მათმან დარაჯამან:

ნულარა დგათ, წავედითო,

კვლავ მოგვხედნა რისხვით ცამან:

მოვა მტრი საშინელი,

შეგვაშინა ამად ამან,

ნუთუ სრულად ამოვწყვიტნეს

უთვალავმან, ბევრმან სპამან.“

ამ სიტყვების თქმაშ საშინელი დეზორგანზაცია
შეიტანა მტრის ბანაკში და „თავს უშველეთ“ ძანი-
ლით მთელი ჯარი უკუიქცა. ეს ამბავი საქართვე-
ლოს გაზეთების მიმომხილველებმა სრულიად სის-
წორით და მიუღვმლათ გააშუქეს; სწრედეთ: „ტა-
რიელი თავის მამაცი და სახელოვანი ჯარით ფე-
დაფეს მისდევს თავზარდაცემულ მტრის და ნადავ-
ლთან ერთად ყოველ წუთს აუარებელ ტყვებს იგ-
დებს ხელშიო.“ პატრიოტები შიკრიკზე შიკრიკს
გზავნიდენ მთავარ სარდლის საღიმში

და მილოცვებით ყურებს
უყრუებენ ტარიელს. სამხედრო კორესპონდენტე-
ბისაგან ხომ სულ მოგეზრებული ქონდა თავი და
ის იყო. მაგრამ ისევ ბრძოლის ველს დავუბრუდეთ.

„იგი ნახეს, გასაქცევლად
გაემართნენ; შევკიცლენით,
ველნი ჩვენგან ნაომარნი,
ომითავე გარდავლენით.
რამაზ მეფე ჩამოვაგდე,
ერთმანეთსა გავეხმლენით ..
უკანანიცა ლაშქარნი
მოუსწრენეს მათ გაქცეულთა
დაუწყეს პყრობა, ჩამოყრა
შეშინებულთა, ძლეულთა...“

აშქარაა, რომ მიმომხილველთ ბრძოლის ველი
სისწორით დაუხატავთ, მტერი შართლაც არეულა
და საშინლად დამარცხებულა, ასე რომ მეფეც კი
ტყვეთ ჩავარდნია ტარიელს.

ასე ბრწყინვალეთ დათავებულ ომს უსათუოდ
უნდა გაეღისეანებია ჩვენი ანექსიონისტების მაღა,
მაგრამ როგორც უკვე დავინახეთ, სამშეიდობო კონ-
ფერეციაზე ასეთი მიმდინარეობა არც კი გამოჩენი-
ლა და ხატავთის სამეფო არ გაუნაწილებიათ; უნ-
და ვიცოდეთ, რომ მაშინდელ სოციალისტებს არც
ციმერვალდის კონფერენცია მოუხდენიათ და არც
კინტალის, უანეჭსიო ზავის იდეა თავისთავად წარ-
მოიშვა.

სამხედრო კონტრიბუცია.

როგორც ვიცით დღეს ძალიან განვითარებუ-
ლია დაბყრობილ აღილებიდან სამხედრო კონტრი-
ბუცის აღება. ხომ გახსოვთ რამდენი თანხა აიღეს
ამ გზით გერმანელებმა პოლონეთში და ბელგიაში
ეს ჩვეულება ჩვენშიც ყოფილა, ამას ამტკიცებს
ტარიელის ნათევამი:

„გავგზავნე ყოვლგან ლაშქარნი,
ალაფი ავალებინე,
ერთობ საესენი მოვიდეს,
თავი გავალალებინე“

საჭიროა აღნიშნონ აი რა: სამხედრო კონ-
ტრიბუცის აღიხანოვების ჩვენში სეირნობის დროს,
ჯარიშები ეწოდებოდა, ახლა კი ტაკტიკურის მოსა-
ზებით ახალი სახელით მონათლებს.

ნიმუში სამხედრო მოხსევებისა.

სამხედრო მოხსენებათა სიმარტივე და ხშირათ
გაურკვევლობაც, ვინაა რომ არ იცოდეს დღეს.
„მიველ, ვნახე, დავამარცხე“ კლასიკური მოხსენე-

ბაა, მაგრამ ასეთი კლასიკური ელფერი ბევრ მოხ-
სენებას აკლია ჩვენს დროში. ტარიელი კი აქც
წინ დგას ჩვენ დროსთან შედარებით, აი მისი ერ-
თად ერთი მოხსენება:

„წიგნი დავწერე: „შეფეო,
სევმცა თქვენი სვიანად,
მე ხატაველთა მიმუხრეს,
თუმცა მათ ეცა ზიანად,
ჩემი ამბავი დასტური
ამით გაცნობე გვიანად,
მეფე შევიპყრ, მოგვიალ
მე ალაფიან—ტყვიანად.“

როგორც ხედავთ ესაა ტარიელის ერთად
ერთი მოხსენება ძველი ომის დროს,*) მაგრამ არ
იფიქროთ, რომ მაშინდელი საქართველო ომს გულ-
გრილათ უყურებდა და ყოველ დღე ცნობებს არ
თხოვდა სამხედრო მინისტრებს. მთავარი შტაბი
ყოველ დღე ომის ბიულეტენს აქვეყნებდა, ხოლო
ლეჩხუმ-სვანეთისა და ოკრიბა-ქიზიყის დიდ გაზე-
ობებს ბრძოლის ველზე საკუთარი კორესპონდენციები
ყავდათ, რომელიც უმავითულო ტელეგრაფით გზა-
ვნიდენ ცნობებს დღეში ორასიდან ხუთას სიტ-
ყვამდე.

საზღვავო ბრძოლა.

ქველ საქართველო ხმელეთის გარდა ზღვისთა-
ნაც ჰერნდა საქმე, ამიტომ აქც შესანიშნავთ იბ-
რძოდენ ჩვენი წინაპარნი. მათი ბრძოლის მეთოდი,
ხმელეთის არ იყოს, სრულებით არ გავდა თანამე-
ლროვე მეზღვაურთა შეტაკებას. ეს უკანასკნელი
ცხრა მთის იქედან ესკრინ ერთმანეთს ყუბბარებს
თუ მინებს, თოთონ კი მიმალულნი არიან; ძველ
ქართველებს როდი სჭირდათ ასეთი ზნე, ისინი
პირის-პირ ხვდებოდენ მტერს და გონების მაგიერ
მკლავებს ამოქმედებდენ. დამეთანხმებით რომ ამაში
უფრო შეტი ვაჟაცობა და პატიოსნებაა, ვიდრე
სადღაც ამომალვაში.

აი როგორ გადაიხადა ავთანდილმა საზღვაო
ბრძოლა, როცა იგი დამტრითხალ მოქარანეთ გა-
უძღვა წინ:

„სიმოვნისა დარითა
იარეს არ სიძნელითა,

*) ოო, რა სიამოვნებით მოაწერდენ ჩვენი დროს
სარდლები ასეთ მოხსენებაზე ხელს!

მათი მაღრაგა აფთანდილ
უძლვის გულითა ქველითა,
გამოჩნდა ნავი მეკაბრე,
დროულა შეტაღ გრძელითა,
მას ნავსა ნავთა სალეჭად
სახნისი ჰევი ძელითა.“

თუ თქვენც დამიჯერებთ ეს ნავი საღმირალო
უნდა იყოს, ან ქართულად რო ვსოქვათ სამირ-
ბერო.

„ჰკიოდეს და მოდიოდეს
იზახდეს და ბუქსა ჰკრესა,
შეუშინდა ქარაგანი
მათ ლაშქართა სიღადესა.
ყმამან უთხრა: „ნუ იშიშვით
თქვენ ამათსა სიაღფესა,
ანუ დავხოც ამათ ყველას,
ან სიკვდილი ჩემი დღესა.“

ეპვი არაა, რომ აფთანდილს რაზმი მეკობრე-
თა ხილვაზე შეშინებულა და მას სააგიტაციო სიტ-
ყვის თქმა დასჭირებია, ამ დროს რაზმიც გვარიანათ
მიულანძლავს:

„თქვენ, ვაჭარნი ჯაბანნი ხართ,
ომისაცა უშეცარნი,
შორს. ისრითა არ დაგხოცენ,
ჩახტჩენით თანაკარნი!

მეტი თავზე ლაფის გადასხმა არ შეიძლება,
თუ საომარი მოშენტი არა, აფთანდილს ვაჭრები
უთუოდ სამედიატორო სამართალში გაიწვევდენ,
მაყრამ ახლა კი უხმოთ დაემონენ სამხედრო დიჭ-
ტატურას და აქეთ-იქეთ მიიმაღენ.

„მარტო მიხეთ ვით შევება,
ვით ვიხმარნე ლომნი მკლავნი,
მეკობრისა ნავისინი
სისხლნი ჰნახეთ მონაღვარნი.“

ასე დაიქადა აფთანდილმა და უბრალო ბაქიო-
ბაც როდი გამოდგა ეს.

„ჩაიცვა ტანთა აბჯარი
ქცევითა ვეფებრ მერჩალითა,
მას ხელითა კეტი რკინასა
ჰქონდა ხელითა ცალითა.“

ჩევნი დროის ზღვაოსანნი კი ქარტებს, კომ-
პასებს და დურბინდებს ჩაკირკიტებენ. დახეთ სი-
ცულლუტეს.

„ნავისა თავსა გულითა
წაუდგა შიმშუალითა,
ვითა შეკრეტელნი ქვრეტითა,
მტრენი დახოცა ხმალითა.
ჰკიოდეს იგი ლაშქარნი,
ხმა მათი არ გაწყდებოდა,
აძგერეს ძელი, რომელსა
ზედან სახნისი ჰგებოდა;
ყმა ნავის თავსა უშიშრად
ქველგა, არა თუ კრთებოდა,
კეტი ჰქრა, ძელი მოსტება,
ლომს მკლავი არ უდრკებოდა.“

ეისაც ჩევნი დროის საზღვაო ბრძოლის აღწე-
რა წაუკითხავს, ის ეხლავე მიმხვდარია, რომ აქ ძი-
რითად გატჩევასთან გვაქს საქმე: მაშინდელი ბრძო-
ლა ახლანდელს ერთი ბეჭოთაც არ გავს. ეს კი
ჩევნი სამხედრო ტეხნიკის ნაციონალურ ელფერი-
ანობას ნიშავს. ბრძოლის უწმვერვალეს განვათა-
რებას ასე გადმოგვცემს შოთა რუსთველი, რომე-
ლიც, ადვილათ შეიძლება, აფთანდილის გემზე სამ-
ხედრო კორესპონდენტათაც კი იყო რომელიმე გა-
ზეთის მიერ გაგზავნილი.

„მათ ლაშქართა გულ უშიშრად
ასრუ ჰსოცდა, ვითა თხასა,
ზოგი ნავსა შეანარცხის,
ზოგსა ჰყურიდა შიგან ზღვასა;
ერთმანეთსა შემოსტყორცის,
რვა ცხრასა და ცხრა ჰკრის რვასა,
ვინც რჩენილან, მკვდართა შეუ
იმაღვიან, ჰმაღვენ ხვასა.“

გამარჯვება, რასაკვირველია, აფთანდილს დარ-
ჩა. და მაშინდელ სამხედრო შტაბებს — მეომარ სა-
ხელმწიფოების — ამის გამო პოლემიკა არ გაუმარ-
თავთ, — არა ჩევნ გავიმარჯვევა და არა ჩევნ, რო-
გორც ეს დღეს მოიმუქმდეს უკანასკნელ საზღვაო
ბრძოლის შესახებ ინგლისელებშია და გერმანელებშა.

სახლვაო ბრძოლა ერთხელ ტარიელმაც გადა-
იხადა, საჭიროთ მიგვაწნია ამის სურათიც ვაჩევნოთ
მკითხველებს. იგი ასე აგვიწერს მტრის ფლოტთან
შეხვედრას.

„ნავი წინა მომევება,
არა ვიცი იყო თუ რვა.
ფიცხლა ზედა შევეჯახე,
მათ დაიწყეს ამოდ ცურვა;“

ქუსლი ვკარ და დავუქციე,
დაიძახეს ღიაცურ ვა!“

ბრძოლაში ქუსლის ხმარებაც რომ ტეხნიკის
უაღრეს განვითარებას ნიშავს ცხადზე უცხადესია.

„კვლავ სხვისა მოვევლ,
მოვკიდე ხელი ნავისა ბაგესა,
ზღვასა დავანთქი, დავხოცე, —
ომიშუა რაღა აგესა.“

ე. ი. ტარიელს ისე დაუტანებია ხელი გემისა-
თვის, როგორც ვარცულისთვის და ვაჟაპურათ „ჩა-
უდევეფეხბია“ წყალში. ცხადია, რომ ასეთ რამეს
თანამედროვე ზღვაოსანნი ვერ დაიჩრებენ და ალ-
ბათ ამიტომაც არ ეკარებიან ერთმანეთს ახლო.


თავზარ დაცემულ მტერს თავის უცემურობის
დანახვაზე შინისკენ მოუკურცხლავს, ბრძოლის ვე-
ლიდან უსირცხოდ ლტოლვილა.

„სხვინი გამექცეს, მიპართეს
მათ მათსა საქულ მაქესო.“

ამბობს ტარიელი, რომელიც შოთას სიტყვით
ზღასა და ხმელეთზე ერთნაირათ იბრძოდა და ერთ-
ნაირათ იმარჯვებდა.

აი ასეთი სახე ჰქონდა ომს ძევლ საქართვე-
ლოში.

ვ. მალაქიაშვილი.



გ ა მ ც ს ა ნ ა

(სურამისათვის)

ერთი რიგა სულიერი
არც ლიდია, არც პატარა;
„დრამის“ საზოგადოების
კლიტე რუსეთს მოატარა.

ცხრაას ცხრაში „დრამის“ წევრთა
აირჩიეს თავმჯდომარეთ
და მას შემდეგ თავზე აზის
ოვის ამრჩევებს შინ და გარეთ.

გამომძიებლათაც იყო
ცოტა მოშორებით, მარა
ამდა ჯურის სამსახური
„მოღვაწისთვის“ ხომ არ კმარა.

კლიტე საზოგადოების,
უენობისა გასაღები
წაიღო და თან ატარა
ხალხის ნდობით ანაღები.

ქანქარითა შონადენით
ამოისქნა დიდი ქისა
და მამულიც შეიძინა
ასე, ვგონებ ერთი დღისა.

ამრჩევებმა ანგარიში
რომ მოსთხოვეს — ვარი სტკიცა,
ნოტარიუსით კი მიწა
თვის სახელზე დაიმტკიცა.

წესდებას და მის მაგვარებს
არ უყურებს, აღარ სჯერა,
რომ წევრნი გამგეობისა
ერთ წელს ირჩევა ერთჯერა.

მისთვის ექვსი წელიწადი
ერთ წელათაც არ გამოდგა,
(ხედავთ, საქმეს საზოგადოს
როგორ სწყალობს, როგორ მოსდგა!)

და ყოველ მხრივ ააყვავა,
გაახარი სურამს ბევრნი
და ამიტომ „მადლობისთვის“
კრებას იწვევს „დრამის“ წევრნი.

მაგრამ უფროსს რაკი არ სურს
მადლობა და ვაშა, ტაში,
მიტორ კრება იღარ სდგება
და მიღიან ისევ სახლში.

ახალ „მოღის“ ტიპი არის,
არ ნახული ქვეყანაზე
მისი ქება განთქმულია:
ეშმაკება სძლევსო ცაზე.

ქართულით აკეთებს საქმეს,
„მამულიშეილია“ მტკიცე
ჯიჯხეთსაც აცლის წევრებს
ამიტომ მათრახი სტკიცე.

ისე, რომა მის საქმეზე
დაფიქრო აქ, მიწაზე,
დაახელო მის ღიდებულ
სამინიტრო მაგარ თავზე.

კვესი.



ს. მაკვანეთი

(შემოქმედის საზ.)

წარსულ აღდგომის დღესასწაულზე
ხალხი რომ იყო ეკლესიაზე,
იყო ამათში „კაცუ-უხუცესი“—
რაღა დავმალოთ ჩვენი ხუცესი!

იყო საკურთხი მუნ მონატანი,
გოჭი, ქათამი მრავალთაგანი;
მიაბურო იმათ ხუცესმა თვალი
და გადიხადა ღვთოური ვალი...

მიეიღა კრძალვით, მოწიწებითა,
აკურთხა ყველა თავის ნებითა...
დაადგა ჯვარი მიცვალებულსა,
აღუთქა შველა, „წაწყმენდილ სულს.“

და რა ილოცა ჩვეულებრივათ,
(რომ შერგებოდა სადილი ტებილათ,)
თვალით ან შნა ვიღაცას განზე
დამქაშიც მიხვდა ბრძანების ხმაზე.

ფრქრობს: „თუ მომცა გოჭი, ან ვაცი,
ქეიფს გადგინდი, გავკეთდი კაცი...
(რაკარგი არის სხვისა ქონება,
როცა უშრომლათ მოგეკონება!)“

ამდროს ბავშვების ბრბომ იგრიალა,
იმ წამსვე, ყველა გაატიალა.
მიაქვთ მათ გოჭი, ქათამი მრგვალი,
დარჩა მოძღვარი-ხახა გამშრალი.

ყველა იცინის, მოძღვარი არა,
იგი გაჰკვიის: „გაჩუმდით, კმარა.
ვისიც რომ არის ბავშვები აფი,
შემირცხვეს მათი სულყველას თავი.“

ასე მოქმედობს ჩვენი მაძღვარი,
საკურთხითა იგი მაძღარი...
თუ კი გააღო მან საყდრის კარი,
ჯიბეში მიაქვთ ხალხის ქანქარი.

ეხლა ახალი „სიკეთეც“ გვიყო!
რკინა გაყიდა, ხიდეთ რომ იყო:
ხალხი განრისხდა და სთხოვს პასუხსა,
ისკი გვიგინებს ყოველთვის სულსა.

მაგრამ სიმართლე სიმართლეთ რჩება,
და ბოროტება არვის შერჩება...
ხალხმაც იმსჯელა ამა საგანზე
და ის აპირებს საჩივარს მასზე...

ამის გამო კი მოძღვარი ჩვენი—
კოტა შეფიქრდა... აშ განაჩენი—
იმას მივანდოთ, ვისაც უპყრია
საჯოჯოხეთო შავი კუპრია...

ნანა.



გურულები ართვინში

(სცენისებური წერილი დიდ ექვისე)


გურიაში ხმაი გავარდა: ართვინისკენ გზას აკე-
თებენ, ფული სახვეტათ არის, მუშა კეთდებაო.
ჩვენც დევიჯერეთ, მევიყარეთ თავი მეზობლებმა,
სულ დარჩეულმა ბიჭებმა და, ზოგმა საკუთარი
„პროპსუკით“, ზოგმა ნაქირავებით, ზოგმა კიდევ
კოტრაბანდათ ჩეველით ბათუშში. მივარეთ, მევია-
რეთ, მოვნახეთ პოლრაჩიკი, მოვრიგდით და ქე ვე-
დით სააღდგომლოთ ართვინს პაწერი იქითრელე.
ბათუშში შეგვხდა ასკანის მამასახლისათ ნამყოფი
ფილიბე და ერთ ჩვენს აფხანიკს გამოატანა ერთი
ჩეტვერი ოტკა. „ნაბარები მეელმა შეინახაო“, იტ-
ყვაინ. უვითონ ფილიბესაც ებარა მთელი საზოგა-
დოება, მარა მთლად არ შეუქამია და რას იფიქ-
რებდა, თუ ჩვენი აფხანიკი ალექსი ფასიეშვილი
მეგლზე და მამასახლისზე უფრო „ნამუსიანი“ იქნე-
ბოდა... აღდგომა მეორე დღეს ალექსიმ შემოგვ-
ჩივლა: დაკეტილი ყუთიდან, რომელშიაც ორმოც

მანეთზე მეტი ფული მქონდა, 25 მანეთად ღირებული „აზიაცი“ წულა და სხვაც წვრიმანიო, მარტო ოტეა მომპარეს და ექვი ერთ გურიანთელ ბოლქვაძეზე მაქვსო. შეუდექით ძიებას: საწყალი ბოლქვაძე კინალამ ვაწამეთ, მარა აღრედამტკიცდა, რომ ის არაფერ შუაში იყო. ბოლოს ალექსიმ განაცხადა: თუ მომპარეს, ისევ ჩემმა აფხანიკებმა მომპარესო. აგი ჩეენ გვეწყინა, გამოვიწვიეთ სამედიატორო სასამართლოში. იძიეს ჩეენმა მედიატორებმა და ყოვლად პატიოსანი ქურდი ისევ ალექსი გამოდგა, რომელმაც თავის თავს გარდა ოტკი-

სა არაფერი არ მოპარა. „ოტკაც“ კი ანგარიშით მოუპარავს, რადგან ბათუმში ჩეტვერი ოტკა 13 მანეთი ღირდა, ართვინში კი 25 მანეთი. ალექსიმაც დაინრხა, რომ იღლიტება: პოდრაჩიკი, რიადჩიკი, ტაბელჩიკი—ყველა გამორჩენას ეძებს, თოთონაც გამორჩა ფილიპეს. მარა თავი ქე მეიჯაყა—ჩეენ გვიწივლა და მედიატორებმა თვითონ იცნეს ქურდათ. ასე, 12 მანეთში გაგვცეალა ოთხი აფხანიკი და მეზობელი და თავიც ზეთ წაასაჭრა. ასე „ვირის პალო“ ყოლთვინ.

ქინძი.

ქართული კანონები



ბ-ნი ეშმაკი მოწადინებული იყო ქართველ უკვდავთ თავშესაფარში შოთა რუსთაველიც მოქცეულიყო, მაგრამ მგოსანმა, როგორც ხედავთ, ეშმაკის თხოვნა განზედაიჭირა.